

K 207779  
3

საქართველოს  
საქართველოს

სოლომონ

ჩოლოქაშვილი

ბიობიბლიოგრაფია



Соломон Михайлович  
ЧОЛОКАШВИЛИ  
БИОБИБЛИОГРАФИЯ

«მეცნიერება»

«МЕЦНИЕРЕБА»

1989

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР



ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა  
ЦЕНТРАЛЬНАЯ НАУЧНАЯ БИБЛИОТЕКА

ბიობიბლიოგრაფიული სერია „ქართველი მეცნიერები“  
Биобиблиографическая серия „Грузинские ученые“

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია  
სკვ-2000



სოლომონ

ჭოლოკაშვილი

( 1883-1944 )

ბიობიბლიოგრაფია



Издательство <Мецниереба>

Тбилиси

1989



ს ლ ო მ ნ

ჩ ლ თ ყ ა შ უ ი ლ ი

( 1883-1944 )


ბ ი ბ ლ ი თ ე გ რ ა ფ ი ა



გ ა მ ო ტ ე მ ლ ო ბ ა < მ ე ტ ნ ი ე რ ე ბ ა >

თ ბ ი ლ ი ს ი

1989





ქახველი ვკენახევა - ნიბლიოგრაფია 2) ჩოლოყაშვილი, სოლომონი  
- ნიბლიოგრაფია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, გამოჩენილი ქართველი აგრონომის სოლომონ მიხეილის ძე ჩოლოყაშვილის ბიობიბლიოგრაფია მოიცავს 1912—1987 წლებს. ნაშრომში შედის სამეცნიერო-კვლევითი, მისი რედაქციით გამოცემული შრომები და ლიტერატურა ს. ჩოლოყაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურ-ანბანური რიგით. ბიობიბლიოგრაფიას წინ უძღვის ს. ჩოლოყაშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, აგრეთვე ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები. ერთვის შრომათა და სახელთა ანბანური საძებელი.

Библиография академика Академии наук Грузинской ССР, видного грузинского агронома Соломона Михайловича Чолокашвили охватывает 1912—1987 гг. В ней входят научно-исследовательские труды, труды опубликованные под его редакцией, а также литература о жизни и деятельности С. М. Чолокашвили.

Материал расположен в хронологическо-алфавитном порядке. К библиографии предпослан краткий обзор научной и общественной деятельности С. М. Чолокашвили. Прилагается алфавитный указатель трудов и указатель имен.

ბიობიბლიოგრაფიული სერიის მთავარი სარედაქციო კოლეგია:

გ. ჯიბლაძე (მთ. რედაქტორი), ლ. გაბუნია, ა. ცაგარელი, გ. ციციშვილი, თ. ონიანი, მ. დარასელია, შ. ძიძიგური, ა. აფაქიძე, ჯ. ლომინაძე, ს. ხადური, ნ. გურგენიძე (მდივანი), ვ. ახალაძე, შ. შენგელია, რ. გრიგოლია.

შემდგენელი: გ. მგელაძე-ბორჯაძე

რედაქტორი: ნ. გურგენიძე

ბიბლიოგრაფიული რედაქტორი: თ. ნაკაშიძე

Главная редакционная коллегия библиографической серии: Г. Н. Джибладзе (гл. редактор), Л. К. Габуня, А. Л. Цагарели, Г. В. Цицишвили, Т. Н. Ониани, М. К. Дараселия, Ш. В. Дзидзигური, А. М. Апакидзе, Дж. Г. Ломинадзе, С. А. Хадури, Н. А. Гургенидзе (секретарь), В. Я. Ахаладзе, Ш. И. Шенгелия, Р. М. Григолия.

Составитель: Г. В. Мгеладзе-Борджадзе


Редактор: Н. А. Гургенидзе

ს. ქ. ნიბლიოგრაფიული რედაქტორი: თ. ე. ნაკაშიძე

სახ. საბ. რედაქტორი.

ჩ. 406(092) : 016  
M 607 (00—) 89

© გამომცემლობა „მეცნიერება“ 1989



Հ. Կ. Կ.

## სოლომონ ჩოლოყაშვილი

(სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)

ქართველი ერის მატერიალური კულტურის საგანძურში მევენახეობას ყოველთვის თვალსაჩინო ადგილი ეჭირა და უჭირავს დღესაც.

ქართველი კაცი მუდამ ესათუებოდა და თავს დასტრიალებდა ქართულ მიწაზე თითქოს მასთან ერთად ფეხშემოდგმულ ვაზს. ამიტომ გასაგებია ის ღრმა პატივისცემა, რომელსაც ქართველი ერი მიაგებს გამოჩენილ მამულიშვილებს, იმათ, ვინც მთელი თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა ქართული მევენახეობის შემდგომ აღმავლობას, განვითარებასა და წინსვლას მოახმარა, ვისაც თამამად შეეძლო ეთქვა: „ყველაფერს, რასაც ვაკეთებდი, ჩემი მიწისა და ხალხის სიყვარული მაკეთებინებდა“.

ეს სიტყვები საესებით მიესადაგება მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწის, აკადემიკოს სოლომონ მიხეილის ძე ჩოლოყაშვილის მოღვაწეობას, რომლის სახელსაც უკავშირდება მეცნიერული მევენახეობის განვითარების ყველაზე უმნიშვნელოვანესი პერიოდი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს ქვეყანაში.

სოლომონ მიხეილის ძე ჩოლოყაშვილი დაიბადა 1883 წლის პირველ ივნისს, გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხეში, მოსამსახურის ოჯახში.

დედა, ეკატერინე ვაჩნაძე, იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული ქალი ყოფილა, მანვე მიადებინა შინ პატარა სოლომონს პირველდაწყებითი განათლება; როგორც ბატონი სოლომონი იგონებდა, დედას მუდმივი მეთვალყურეობისა და განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ ჰყავდა იგი, როგორც ფიზიკურად სუსტი ბავშვი, და თურმე ადგენდა დღიურებს იმის შესახებ, თუ როგორი წესითა და მზრუნველობით უვლიდა შვილს. როგორც პროფ. ვ. ქანთარია გადმოგვცემს, უკვე გვიან, უნივერსიტეტში მუშაობის დროს, პროფესორ ს. ჩოლოყაშვილს ეს დღიურები გადაუცია სპეციალისტებისათვის, როგორც საინტერესო მასალა პედაგოგიური და სამეცნიერო თვალსაზრისით.

მამა, მიხეილ ჩოლოყაშვილი, სპეციალობით იურისტი, მეტად განათლებული და მევენახეობის დარგის დიდად მოყვარული პიროვნებაა ყოფილა.

პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ პატარა სოლომონი მიაბარეს თბილისის გიმნაზიის პანსიონატში, მაგრამ იქაური ადმინისტრაციული პირობები აუტანელი გახდა ისედაც სუსტი აგებულების ბავშვისთვის. ამას დაერთო მისი დაავადება ყვავილით, რამაც იგი ცალი თვალით დააბრმავა. ამის შემდეგ, მშობლებმა ს. ჩოლოყაშვილი შეიყვანეს ნიკიტის მებაღეობა-მევენახეობის სასწავლებელში (ყირიმი-იალტა). ეს არჩევანი არ იყო შემთხვევითი; კახეთის ულამაზეს სოფელში დაბადებულმა და გაზრდილმა კაცმა ბავშვობიდანვე შეიყვარა და შეისისხლბორცა მცენარეული სამყარო. დედა ამჩნევდა ბავშვის ამ უსაზღვრო გატაცებას და როგორც ბატონი სოლომონი იგონებდა: „სულ ბაღ-ვენახებში დაეძებდა თითქოს ტოლებთან სათამაშოდ წასულ შვილს“.

ნიკიტის მებაღეობა-მევენახეობის სასწავლებელში ს. ჩოლოყაშვილმა ოთხი წელი დაჰყო, მაგრამ ბეჯითად დაწყებული სწავლა ცუდად დამთავრდა: „გამოსაშვები გამოცდების დაწყების წინ გამომპრიცხეს გაფიცვებში მონაწილეობის გამო, ამით რუსეთში სწავლის გაგრძელების საშუალებაც მომესპო“, — წერდა იგი.

გერმანულ ენას კარგად დაუფლებული ს. ჩოლოყაშვილი მალე სწავლას აგრძელებს კლოსტერნიბურგის (ვენა) მევენახეობა-მეხილეობისა და დეკორატიული მებაღეობის უმაღლეს სკოლაში, მევენახეობა-მეღვინეობის განყოფილებაზე, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს 1907 წელს. წარჩინებული სწავლისათვის იგი დაჯილდოებული იქნა ოქროს დიდი მედლით. სამეცნიერო მუშაობის სტაჟირების მიზნით ს. ჩოლოყაშვილი დარჩა ხსენებული უმაღლესი სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ენოქიმიისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში, პროფესორების ზეიფერტისა და რაიშის ხელმძღვანელობით, პრაქტიკულ სამუშაოებს კი ატარებდა კატუსის სანიმუშო მეურნეობაში.

1908 წელს ევროპულ განათლებას და სასოფლო-სამეურნეო ცოდნას ღრმად დაუფლებული 25 წლის სპეციალისტი საქართველოში დაბრუნდა.

პროფ. ვ. ქანთარია წერდა: „ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიგონოთ ის პერიოდი, როდესაც ყალიბდებოდა მისი ბუნება, შეხედულება ცხოვრებისა და საზოგადოებაზე. აქ მხედველობაში გვაქვს ის დრო, როდესაც მეფის რუსეთი მაქსიმალურად ზღუდავდა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო განათლების საქმეს; ის აყენებდა რა



მოსახლეობას უფლებრივ ნორმებში, ძლიერ აფერხებდა ერის სამე-  
ურნეო-ეკონომიკური ხასიათის თვითწამოწყებებს. მიუხედავად ასეთ  
პირობებში და თავადაზნაურთა გარემოცვაში აღზრდისა, მას საზოგა-  
დოებისადმი სამსახური, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდე-  
ბულება, პრინციპულობა, ერის კეთილდღეობისათვის ზრუნვა ყოველ-  
თვის სასიამოვნო მოვალეობად მიაჩნდა. ის ნამდვილი პატრიოტი და  
ინტერნაციონალისტი იყო, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა  
მარტო ქართველებში, არამედ რუსებში, უკრაინელებში, სომხებში,  
აზერბაიჯანელებში და სხვა ეროვნების სპეციალისტებში“.

სამშობლოში ჩამოსვლისთანავე მისთვის მოღვაწეობის ფართო ას-  
პარეზი გაიშალა და ბევრი ხელსაყრელი მიწვევაც მიიღო, მაგრამ  
სოლომონ ჩოლოყაშვილი სიამოვნებით არ შეხვედრია ასეთ წინადა-  
დებებს. მან უარი განაცხადა წინანდლისა და მუკუზნის მეურნეობებ-  
ში მუშაობაზე და, რადგან საზოგადოებრივი საქმე უფრო იზიდავდა,  
აირჩია მიწათმოქმედების დეპარტამენტი, ოძისის მამულის გამგედ და-  
ინიშნა.

ამ მეურნეობაში წარდგენილი იყო მევენახეობა, მეხილეობა, სა-  
ნერგე და სხვ. როგორც პროფ. ვ. ქანთარია აღნიშნავდა, ამ არჩევანში  
უდიდესი როლი შეასრულა ღრმა პატივისცემამ ზაქარია ერისთავისად-  
მი, რომელსაც ეკუთვნოდა ოძისის მამული. მან სიცოცხლეშივე გადას-  
ცა აღნიშნული მეურნეობა ხალხს, ეს კი სოლომონ ჩოლოყაშვილმა ზ.  
ერისთავის დიდ დამსახურებად ჩათვალა და გადაწყვიტა, ისევე ხალ-  
ხის საკეთილდღეოდ, თვითონაც ამ მამულს ჩადგომოდა სათავეში.

1910 წელს სოლომონ ჩოლოყაშვილმა ოძისის მამულში გახსნა  
მებაღეობის სკოლა-ინტერნატი, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1918  
წლამდე და სპეციალურ საგნებს ასწავლიდა უფროს კლასებში.

ეს იყო პერიოდი, როცა ყველაზე მეტად უჭირდა მთელი ჩვენი  
ქვეყნის მევენახეობას; ვაზს მასიურად მოედო ფილოქსერა. შეიქმნა  
ფილოქსერასთან ბრძოლის კავკასიის კომიტეტი. დიდი მეცნიერი აქ-  
ტიურად ჩაება ამ კომიტეტის მუშაობაში. მისი თაოსნობით და ხელ-  
მძღვანელობით სოფ. ალაიანში (კასპის რაიონი) შეიქმნა ვაზის სა-  
ნერგე მეურნეობა.

ახალგაზრდა მეცნიერისათვის პირველი რიგის საკითხად იქცა ნამ-  
ყენი ვაზის გავრცელება ფილოქსერისაგან ვაზის დაცვის მიზნით. საქ-  
მისადმი ერთგულებამ, თავდადება და სიყვარულმა სასურველი შე-  
დეგი გამოიღო; ფილოქსერისაგან თითქმის დაღუპვის კარამდე მისული  
მევენახეობა აღორძინების გზას დაადგა.

სოლომონ ჩოლოყაშვილის პირველი მეცნიერული შრომები სწო-  
რედ ამ პერიოდს უკავშირდება. ამ შრომებიდან აღსანიშნავია „ფილო-  
ქსერა და მასთან ბრძოლა“ (1912 წ.), რომელიც ცალკე ბროშურად

იქნა გამოცემული. მევენახეობის საკითხებზე იმ პერიოდში ქართულ ენაზე თითო-ორილა მეცნიერული ნაშრომი თუ გამოჩნდებოდა. ამიტომ „ფილოქსერა და მასთან ბრძოლა“ იმთავითვე მეტად აუცილებელ, დროულ და საჭირო პრაქტიკულ სახელმძღვანელოდ იქცა. იმ დროის მეცნიერულ დაკვირვებებზე დაყრდნობით გაკეთებულმა ღრმა ანალიზმა სოლომონ ჩოლოყაშვილს საშუალება მისცა ნათელი მოეფინა ისეთი საკითხებისათვის, როგორც იყო ვაზის ფესვის ამ უსაშინლესი მავნებლის ბიოეკოლოგია, მისი გავრცელების შეზღუდვისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალური ღონისძიებები. ავტორი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ვაზის მცნობას ამერიკული წარმოშობის ფილოქსერაგამძლე საძირებზე და აგროტექნიკური ღონისძიებების ზუსტად დაცვას, რაც დღემდე ფილოქსერასთან ბრძოლის შეუცვლელ მეთოდადაა მიჩნეული. სოლომონ ჩოლოყაშვილს მიაჩნდა, რომ ფილოქსერასთან საბრძოლველად აუცილებელია ნამყენის წარმოების ტექნიკური ბაზის შექმნა, საძირეთა და სანამყენეთა სადღედეგების გაშენება, სასათბურე მეურნეობების მოწყობა, მცნობის ტექნოლოგიის დახვეწა-გაუმჯობესება. უფრო მოგვიანებით, 1937 წელს ბატონი სოლომონი წერდა: „ამ მიმართულებით გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე ამ რამდენიმე წლის წინათ იყო. მიუხედავად ამისა, საჭიროა მევენახეობის მეურნეობებში მეტად ზუსტი და შეგნებული მუშაობა ფილოქსერის მიერ შექმნილი მდგომარეობის საბოლოოდ გამოსასწორებლად“.

1918 წელს ოძისის მამულის მებაღეობის სკოლა-ინტერნატი დაიხურა და სოლომონ ჩოლოყაშვილი გადმოყვანილი იქნა თბილისში, ყარაიზის სამმართველოს რწმუნებულის თანაშემწედ, რომლის გამგებლობაში შედიოდა საცდელი მინდორი, სარწყავი ქსელი, სათიბებო და სხვ.

1919 წელს სოლომონ ჩოლოყაშვილი მიწვეული იქნა მევენახეობის კურსის ხელმძღვანელად უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო კურსებზე. ის აქ მუშაობდა 1923 წლამდე — კურსების შეწყვეტამდე.

1920 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე შემოღებულ იქნა მევენახეობის სავალდებულო კურსი, ხსენებული უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოებმა ს. ჩოლოყაშვილი აირჩიეს მევენახეობის კურსის ლექტორად. ამ დროიდან საფუძველი ეყრება მომავალი დიდი მეცნიერის ფართო ასპარეზზე გამოსვლას უმაღლეს სკოლებში მოღვაწეობისათვის. ამავე წელს სოლომონ ჩოლოყაშვილი სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე აარსებს მევენახეობის კათედრას და მისი უცვლელი ხელმძღვანელია სიცოცხლის ბოლომდე.



1921 წლიდან ს. ჩოლოყაშვილს ვხედავთ სხვადასხვა თანამდებობებზე. იყო საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის უფროსი სპეციალისტი, ამავე კომისარიატის მევენახეობისა და მეღვინეობის განყოფილების გამგე. 1923 წელს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოაწყო საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის განყოფილება. იყო კონსულტანტად საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატში; მუშაობდა საქართველოს და ამიერკავკასიის სახელმწიფო საგვეგმო კომისიაში, იყო ამიერკავკასიის მევენახეობის ინსპექტორი.

1923 წელს აკადემიკოს ს. გ. ნავაშინისა და პროფესორ ს. ა. ზახაროვის წარდგენით, პოლიტიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოში ის აირჩია დოცენტად, ხოლო 1926 წელს საკვალთმეცნიერო კომისიამ დაამტკიცა პროფესორად. შემდგომ პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტები გაერთიანდა და მევენახეობის სწავლებაც მნიშვნელოვნად გაფართოვდა. უმაღლესი სკოლების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი ცალკე იქნა გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტად; ამით მევენახეობის კურსის სწავლებამაც და კათედრამაც შესაფერისი სახე მიიღო.

1925 წელს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით სოლომონ ჩოლოყაშვილს მიეცა სამეცნიერო მივლინება საზღვარგარეთ, სადაც დაჰყო წელიწადნახევარი. მუშაობდა გაიზენჰაიმში — პროფესორ კრემერთან, ხოლო მონპელიეში აკად. რავაზთან, ამ პერიოდში ის საფუძვლიანად გაეცნო მევენახეობა-მეღვინეობის საკვლევ დაწესებულებებს და რაიონებს საფრანგეთში, გერმანიაში, უნგრეთსა და ავსტრიაში.

საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ სოლომონ ჩოლოყაშვილი განაგრძობს ენერგიულ სამეცნიერო, პედაგოგიურ და პრაქტიკულ საქმიანობას. აქვეყნებს სტატიებს მევენახეობის აქტუალურ საკითხებზე.

კვლევითი საქმიანობის ფართოდ გაშლისა და მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომი აღმავლობის მიზნით, სახელგანთქმული მეცნიერი საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებისთვის ზრუნვას შეუდგა. ინსტიტუტი უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირში პირველი და იმ დროისთვის ერთადერთი. ამდენად, ეს იყო არა მარტო ეროვნული, არამედ უდიდესი საკავშირო და საერთაშორისო მნიშვნელობის საქმე, რომლის არათუ სისრულეში მოყვანა, არამედ გაფიქრებაც კი მხოლოდ იმ დონისა და თავდადების მამულიშვილს შეეძლო, როგორც ბატონი სოლომონი იყო. ამ გრანდიოზულ წამოწყებას წინ უძღოდა დიდი მასშტაბების მოსამზადე-

ლი სამუშაოები, რომელთა პრაქტიკულ განხორციელებას საწყისი ეტაპი 1930 წლის 16 აგვისტოს თბილისში გამართულმა მევენახეობისა და მეღვინეობის საკავშირო საორგანიზაციო თათბირმა.

საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საარქივო მასალები ამ თათბირის ირგვლივ მეტად საინტერესო-ცნობებს ინახავს.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საკავშირო თათბირი სამ დღეს მიმდინარეობდა და მომხსენებელი დღის წესრიგით გათვალისწინებულ ყველა საკითხზე პროფესორი სოლომონ ჩოლოყაშვილი იყო. მის მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში ჩამოყალიბდა და დასაბუთდა ინსტიტუტის დაარსების მნიშვნელობა, განისაზღვრა პროგრამა, შტატი და სტრუქტურა, შეფასდა გაწეული მუშაობა, მევენახეობის არსებული მდგომარეობა და სამომავლო პერსპექტივები.

აკად. ს. ჩოლოყაშვილის მიერ შემუშავებული მევენახეობისა და მეღვინეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროგრამის მაშინდელ პროექტში იკითხება სადღეისო მოთხოვნების სრულადაკმაყოფილება, ჩანს საოცარი ალღო და უნარი მომავლის განჭვრეტისა და შორსმხედველობისა. ვეცნობით ამ მასალებს და ვხედავთ, რომ ეს საოცარი გონების მეცნიერი დღეის თვალთ უტკებდა სამოცდაათწლის წინანდელი საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის სამომავლო ბედ-იღბალს, ყველაფერს გეგმავდა და იაზრებდა ისე, როგორც მისი პროგრესული აზროვნებისთვის იყო შესაფერი. ეს რომ ასეა, მკაფიოდ ჩანს მაშინდელი საინსტიტუტო სტრუქტურის მაგალითით. ინსტიტუტში შეიქმნა სამი სექტორი 17 განყოფილებით. პირველი იყო მევენახეობის სექტორი: გენეტიკისა და სელექციის, ანატომიისა და ფიზიოლოგიის, აგროტექნიკის, ამპელოგრაფიის, მცენარეთა დაცვის, აგრომიწათმოქმედებისა და აგროქიმიის, ამპელოგრაფიისა და ფენოლოგიის განყოფილებებით; მეორე — მეღვინეობისა და უალკოჰოლო პროდუქციის სექტორი: ენოქიმიის, მიკრობიოლოგიის, მეღვინეობის უალკოჰოლო სასმელების, მეღვინეობის და კონიაკის ნარჩენების ტექნიკური გადამუშავების, მევენახეობის პროდუქტების ჰიგიენურ-სამეცნიერო და საკვები დანიშნულებით შესწავლის განყოფილებების; მესამე — საერთო სექტორი — ეკონომიკისა და ორგანიზაციის, მიღებისა და მომსახურების, მექანიზაციისა და საისტორიო-ბიბლიოგრაფიული განყოფილებებით. ეს ჩამონათვალი შემთხვევით არ მოგვიტანა მასში, განსაკუთრებით კი ამ განყოფილებების სამუშაო პროგრამაში, რომელიც უშუალოდ სოლომონ ჩოლოყაშვილს ეკუთვნის, უდიდეს სამომავო პერსპექტივები იშლება. ისინი სწორედ დღეს არის მევენახეობა-მეღვინეობის დარგების საზრუნავი და საკვლევია. მათ შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს მეღვინეობის სფეროს პროგრესული ხედვა

რომელსაც აკადემიკოსი სოლომონ ჩოლოყაშვილი წარმოადგენდა, როგორც დასაბამს სამამულო ღვინისა და კონიაკის ხარისხისა და ღირსების, უაღკოპოლო სასმელების წარმოების შემდგომი გაფართოების, ღვინის სტაბილიზაციის, ყურძნის პროდუქტების ჰიგიენური, კვებითი და სამედიცინო მნიშვნელობით გამოყენების გაფართოებულ და პერსპექტულ პროგრამას.

„თანამედროვე მევენახეობის“ შესავალში აკად. ს. ჩოლოყაშვილი წერდა: „ყურძენი ითვლება ერთ საუკეთესო სამკურნალო პროდუქტად, საყვედური, რომელიც ზოგიერთებისაგან გაიძმის ღვინის მათობელა თვისებებზე და ამით გამოწვეულ ადამიანის სხეულის მავნებლობაზე, სრულიად უსაფუძვლოა: ღვინის ზომიერად ხმარება მავნებელი არ არის სრულსაკიან ორგანიზმისათვის, არამედ სასარგებლოა: უზომო ხმარებით კი შეიძლება ყველაფერმა გვევნოს: თუ ღვინოში ალკოჰოლია, ჩაიში — თეინია, ყავაში — კოფეინი, უზომო ხმარებით ხორცი და კარაქიც მავნებელია. ზომიერად ხმარებული ღვინო ახალისებს, ენერჯიას ჰმატებს ორგანიზმს. გულის მუშაობას ხელს უწყობს და სხვ.“

კარგად არის ცნობილი, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ღვინო იხმარება, ადამიანის საშინელ სოციალურ სენს — ალკოჰოლიზმს ადგილი არა აქვს.

ალკოჰოლიზმი იმ ქვეყნების მოვლენაა, სადაც ღვინის მაგიერ ისმება მაგარი ალკოჰოლკონცენტრირული სასმელები, როგორცაა არაყი, სპირტი, ვისკი, ჭინი და სხვ.“

ინსტიტუტის დაარსების პირველ წლებში და მომდევნო პერიოდშიც ყურძნისა და მისი პროდუქტების სამკურნალო თვისებების შესწავლა — გამოკვლევას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ამ საკითხს მნიშვნელოვანი გამოკვლევები მიუძღვნა ჩვენმა სასიქადულო მეცნიერმა, შემდგომში, ათიოდე წლის მანძილზე, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა სერგი ღურმიშიძემ.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში, ამ ინსტიტუტში მუშაობა ყურძნისა და მისი პროდუქტების სამკურნალო დანიშნულების შესწავლის თვალსაზრისით სრულიად გაუმართლებლად შენელდა, მაშინ როდესაც საფრანგეთსა და მევენახეობა-მეღვინეობის მთელ რიგ მოწინავე ქვეყნებში ეს მიმართულება დღემდე პრიორიტეტულია. უკანასკნელ წლებში ფრანგმა მკვლევარებმა (ბურზეჟსი, ვეილანდი, პერედია). ღვინოში აღმოაჩინეს პროციეინიდოლები — კატეხინებისა და ეპიკატეხინების პოლიმერები, რომლებიც წარმოადგენენ ფიზიოლოგიურად აქტიურ ოლიგომერებს და რომლებიც ხელს უშლიან მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარებას. როგორც ისინი მიუთითებენ, აღნიშნული ნივთიე-

რებების დღიური ნორმა ადამიანის კვების რაციონში უნდა შეადგენდეს 100 მლ. გ. ადამიანის საკვებთა შორის პროცენინდოლებით ყველაზე მდიდარია ღვინო. მათ მიერვე ჩატარებული გამოკვლევებიდან ირკვევა, რომ კატეხინებსა და პროცენინდოლებს ყველაზე დიდი რაოდენობით შეიცავს ყურძნის წიბწა (59%), მტევნის კლერტი და მარცვლის კანი (21% და 19%). ყველაზე ნაკლები რაოდენობით ეს ნივთიერება არის ყურძნის რბილობში (1%). ყურძნის ჭიშობრივ თავისებურებებთან ერთად პროცენინდოლების შემცველობის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს ღვინის დაყენების ტექნოლოგიას.

ღვინოში, რომელიც მთლიანად დაჭეჭილი ყურძნისაგან (კლერტი, ჭაჭა, წიბწა) არის დამზადებული (ეს იგივეა, რაც კახური ტექნოლოგიით დამზადებული ღვინო — ნ. ჩ.), პროცენინდოლების შემცველობა მაღალია — 62%. ამის გამო, ფრანგი მეცნიერები დაინტერესდნენ ქართული — კახური ტექნოლოგიით დამზადებული ღვინოებით (რქაწითელი, ტიბაანი, კახეთი), რომელიც ინსტიტუტმა მათ სპეციალურად გაუგზავნა ამ დანიშნულებით.

ზემოთქმულით გვინდა ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ, რომ აკადემიკოს სოლომონ ჩოლოყაშვილის პერიოდის კვლევის მიმართულებები შორეულ პერსპექტივებსაც ითვალისწინებდა. იგი საკვებით პასუხობს დარგის წინაშე მდგარ სადღეისო ამოცანას — რომ ყურძენი და მისი გადამუშავების პროდუქტები ადამიანის ჯანმრთელობის სამსახურში იქნეს გამოყენებული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ინსტიტუტის დაარსების დღიდან აკად. ს. ჩოლოყაშვილი იყო ამ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში. იგი წარმართავდა და ხელმძღვანელობდა მევენახეობის მეცნიერულ საფუძველზე განვითარებას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს კავშირში, რისთვისაც მან, როგორც დიდი ერუდიციისა და განათლების მეცნიერმა, გარს შემოიკრიბა იმ დროის ყველა გამოჩენილი მეცნიერი და მოღვაწე: მოდებაძე, ნეგრული, სერგეევი, პრინცი, შაკვი და სხვები, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ ახალჩამოყალიბებული ინსტიტუტის სექტორებსა და ლაბორატორიებს.

სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით მევენახეობისა და მეღვინეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გადაკეთდა ჯერ ამიერკავკასიის, ხოლო შემდეგ საქართველოს ინსტიტუტად. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სოლომონ ჩოლოყაშვილი ამ ინსტიტუტში დირექტორის მოვალეობას სამეცნიერო ნაწილში შესანიშნავად უთავსებდა მევენახეობის კათედრის გამგეობას სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. ყოველივე ამას ერთვოდა დიდი საზოგადოებრივი დატვირთვა, არა ერთი სამეცნიერო საბჭოსა და ორგანიზაციის თავმჯდომარეობა და წევრობა.

მევენახეობა-მელვინეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობის დროს ს. ჩოლოყაშვილმა პირველმა გააანალიზა საქართველოს მევენახეობის დარაიონება, რაც საფუძვლად დაედო ამ დარგებში შემდგომი კვლევითი საქმიანობის განვითარებას. აქვე შეიქმნა მისი უდიდესი მნიშვნელობის შრომები ამპელოგრაფიის საკითხებზე, რისთვისაც არჩეული იქნა საბჭოთა ამპელოგრაფიის კოლეგიის წევრად.

1935 წლიდან აკად. ს. ჩოლოყაშვილი თავს ანებებს მევენახეობა-მელვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობას და მთელი თავისი შემოქმედებით უკავშირდება მის მიერ შექმნილ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრას, რომელსაც შეუცვლელად ხელმძღვანელობდა 24 წლის მანძილზე.

მართალია, აუცილებლობამ მოითხოვა აკად. სოლომონ ჩოლოყაშვილის გადასვლა მევენახეობის კათედრაზე, მაგრამ იგი წუთითაც არ დაშორებია მევენახეობა-მელვინეობის ინსტიტუტს და, შეიძლება ითქვას, იქ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კედლებშიც გრძნობდა მის მაჯისცემას, ცხოვრობდა მისი ცხოვრებით, აწმყოთი და მომავლით: თავს უფლებას არ აძლევდა მევენახეობისა და მელვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში განხორციელებული ღონისძიებებიდან შორს მდგარიყო და აქტიური მონაწილეობა არ მიეღო მის ყოველდღიურ საქმიანობაში, არ გამოხმაურებოდა აქ მიმდინარე ცვლილებებს. ამის დასტურია აკად. ს. ღურმიშიძის მოგონება მისი მევენახეობა-მელვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დირექტორად დანიშვნასთან დაკავშირებით. წიგნში „ზოგი რამ წარსულიდან“ იგი წერს: „რამდენიმე დღის შემდეგ (1943). ნიკო კეცხოველმა და სოლომონ ჩოლოყაშვილმა თელავში წარმადგინეს. აქ ყველა მიცნობდა, როგორც ლაბორატორიის მუშაკს, 1932—1935 წლებში ამ ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი ვიყავი, სამი დღის შემდეგ ნიკო კეცხოველმა დამტოვა. ბატონმა სოლომონმა კი მოინდომა ერთი თვე მაინც ყოფილიყო ჩემს გვერდით და ჩემთვის „დირექტორობა“ ესწავლებინა — ადრე ამ ინსტიტუტის დირექტორი ხომ თვითონ ბრძანდებოდა, მე მოწიწებით შევკადრე, რომ ეს საჭიროდ არ მიმაჩნდა?! მაგრამ არაფერი გამოვიდა.

სოლომონ ჩოლოყაშვილი ყველასათვის პატივსაცემი პიროვნება იყო, მაგრამ მე მეტი გამოსავალი არ მქონდა და ნიკო კეცხოველს ვთხოვე უკანვე გაეწვია იგი. ბატონმა ნიკომ ამიხსნა, თუ რამდენად ძნელი იყო მისთვის ეს და მთხოვა თვითვე მომეგვარებინა საქმე, რას ვიზამდი. მე ვესაუბრე ბატონ სიმონს, სოლომონს და ვეცადე ამეხსნა მისთვის, თუ რატომ არ მიმაჩნდა შესაძლებლად იმ მეთოდით მუშაობა, რომელიც მან შემომთავაზა; გამოდიოდა, რომ ერთდროულად ინ-

სტიტუტს ორი დირექტორი ჰყავდა. ს. ჩოლოყაშვილი ჩვენი გულან-  
დელი საუბრის მეორე დღესვე გაემგზავრა თბილისს“.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრაზე დაი-  
წერა ს. ჩოლოყაშვილის უდიდესი მნიშვნელობის შრომები. „კახეთის  
მევენახეობა-მელვინეობის თანამედროვე პრობლემები“, „როგორ აღვა-  
დგინოთ ვენახები კახეთში“, „კაპიტალი ამიერკავკასიის ფედერაცი-  
ული რესპუბლიკების მრავალწლიან ნარგავებში“, „მასალები ვაზის  
ქართული ჯიშების შესწავლისათვის“ და სხვ.

ნაშრომზე „კაპიტალი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლი-  
კების მრავალწლიან ნარგავებში“, რომლისთვისაც ს. ჩოლოყაშვილს  
პროფესორის წოდება მიენიჭა, პროფ. კ. მოღებაძე წერდა: „ამ შრო-  
მაში შემუშავებულია მრავალწლიანი ნარგავების შეფასების ტაქსაცი-  
ური, ორიგინალური მეთოდი და საბოლოოდ შეჯამებულია მათი ღირე-  
ბულება“.

როგორც მევენახეობისა და მელვინეობის სამეცნიერო-კვლევით  
ინსტიტუტში, ისე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მუშაობისას.  
ს. ჩოლოყაშვილმა გარს შემოიკრიბა ნიჭიერი და შრომისმოყვარე  
ახალგაზრდების მთელი პლეადა და შექმნა ქართველ მევენახე-მეცნი-  
ერთა სახელოვანი სკოლა, რომელიც წარმოდგენილი იყო აღიარებუ-  
ლი მეცნიერების, როგორებიც იყვნენ პროფესორები: ვალერიან ქან-  
თარია, მაქსიმე რამიშვილი, მათი თანამოღვაწენი: ნადეჟდა ჩახნაშვილი,  
ნატაშა მახარაძე, ქეთევან გეგეშიძე და სხვა.

თითოეული მისი აღზრდილი ბედნიერად მიიჩნევდა სოლომონ  
ჩოლოყაშვილთან მუშაობას, ამის შესახებ პროფ. ვ. ქანთარია წერდა:  
„ერთხელ სოლომონ ჩოლოყაშვილმა მითხრა: თბილისში მევენახეობა-  
მელვინეობის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი იხსნება  
და იქ მუშაობაზე რას იტყვიო? მაშინვე დავთანხმდი, თუმცა ინსტი-  
ტუტში ჩემი მაშინდელი ხელფასის ნახევარი მეძლეოდა, ეს იყო 1931  
წელს“.

აკად. ს. ჩოლოყაშვილის დიდ მეცნიერულ აღლოს და შორს-  
მკვრეტელობას მიეწერება მის მიერ პროფესორ მაქსიმე რამიშვილის  
მიწვევა მევენახეობის კათედრაზე, რომლის დამსახურებად და ს. ჩო-  
ლოყაშვილის საქმის გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს საკოლექციო.  
ნაკვეთის შექმნა, სადაც თავმოყრილი იქნა მსოფლიო მევენახეობის  
ძირითადი ქვეყნების 3 000-მდე ვაზის ჯიში, რომელთაგან 500 საქართ-  
ველოს აბორიგენია, აგრეთვე მევენახეობის კათედრაზე ამპელოგრა-  
ფიული ლაბორატორიის ჩამოყალიბება და ვაზის ნამყენი ნერგის წარ-  
მოების მეცნიერული საფუძვლების შექმნა.

დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ აკად. ს. ჩოლოყაშვილი ვა-  
ზის მეცნიერული სასელექციო მუშაობის ერთ-ერთი ფუძემდებელია.



საქართველოში. მან დასაწყისი მისცა ვაზის ქართული, აბორიგენული, ზოგიერთი ჯიშის გენეზისისა და საქართველოს ჯიშების ბიოლოგიის შესწავლას, ფერტილობასა და სტერილობასთან კავშირში.

დოც. ნ. ჩახნაშვილთან ერთად ს. ჩოლოყაშვილმა შეასრულა უდიდესი სამუშაო ქართლის ვაზის ჯიშების აღწერისა და შესწავლის თვალსაზრისით.

პროფესორები დ. სოსნოვსკი და ლ. დეკაპრელევიჩი უდიდეს შეფასებას აძლევდნენ ს. ჩოლოყაშვილის მიერ ჩატარებულ სასელექციო მუშაობას და რეალურ პერსპექტივებს ხედავდნენ ვაზის სელექციაში შემდგომი მუშაობისათვის.

ახალგაზრდებს მოსწონდათ თავიანთი პროფესორის თავმდაბლობა, უბრალოება, სტუდენტებისათვის ანგარიშის გაწევა. მათ სწამდათ სოლომონ ჩოლოყაშვილი, როგორც პედაგოგი და აღმზრდელი, ადვილად მიენდობოდნენ და სჯეროდათ მისი. ასეთივე იყო ის თავის თანამშრომლებში. „არასოდეს არ დამავიწყდება მისი დავალება და დარაგება, რაც დაკავშირებული იყო ჩემს დოცენტის წოდებასთან და პირველი შესავალი ლექციის წაკითხვასთან“, — წერდა პროფ. ვ. ჭანთარია.

დოც. ქ. გეგეშიძე, რომელიც დღემდე აგრძელებს დიდი მასშავლებლის დაწყებულ საქმეს, უღრმესი მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობით იგონებს აკად. ს. ჩოლოყაშვილს. მისი აზრით, აკად. ს. ჩოლოყაშვილის პიროვნებაში საოცრად იყო შერწყმული ძალიან მეგობრული, შინაურული და ოფიციალური დამოკიდებულებების გრძნობა სტუდენტებისადმი.

ქართული ვაზის შესახებ სათანადო მასალების სისტემაში მოყვანის საფუძველზე დაიწერა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნარკვევი, რითაც საქართველოს მევენახეობის ისტორია საფუძვლიანად გამდიდრდა. ამ თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობისაა „მასალები საქართველოს XII—XIII საუკუნეების ვაზის ჯიშების საკითხისათვის“. ამ წიგნის შესახებ ვ. ჭანთარია ამბობს: „საფუძვლად იღებს რა ვაზის აუცილებელ ბუნებრივ პირობებს, მევენახეობასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიას, ვაზის აღზრდა-მოვლის ძველ წესებს, კულტურული და გარეული ვაზის მრავალი ფორმის არსებობას საქართველოში და მხცოვანი მეცნიერის — ივანე ჭავჭავაძის კვლევის მასალებს, სოლომონ ჩოლოყაშვილი მტკიცედ დგას იმ აზრზე, რომ ძველ საქართველოში მევენახეობა უაღრესად განვითარებული ყოფილა და რომ მევენახეობის ერთ-ერთ კერად მსოფლიოში საქართველოც უნდა იქნეს მიჩნეული. აღნიშნულის დასამტკიცებლად იგი „ოქროს ხანის“ ვაზის ჯიშებზე შეჩერდა და მათი ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე შესძლო აღედგინა XII—XIII საუკუნის მევენახეობის ვითარება“. შრომას — „მასალები საქართველოს XII—XIII საუკუნის ვაზის ჯი-

შების საკითხებისათვის“ სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა, იგი ახალ გზებს საზავდა ქართული მევენახეობის ისტორიაზე მუშაობისათვის.

ამ მიზნით მან მტკიცედ გადაწყვიტა კაპიტალური სახელმძღვანელოს შექმნა ქართულ ენაზე, რის შესახებ წერდა კიდეც: „ქართულ ენაზე შრომის გამოქვეყნება ნავულისხმევი მაქვს ხუთ წიგნად. პირველ წიგნში ადგილი დაეთმობა მევენახეობის მოკლე მიმოხილვას უცხოეთსა და ჩვენში; ვაზის ორგანოგრაფიას, ანატომიასა და ფიზიოლოგიას; ვაზის ბიოლოგიურ ფაზებსა და ვაზისათვის საჭირო ბუნებრივ ფაქტორებს; მეორე წიგნი დაეთმობა ამპელოგრაფიას; ეს ნაწილი შედგენილი იქნება ძირითადად სტანდარტულ ასორტიმენტთან დაკავშირებით და ჩვენი აბორიგენული ჯიშების აღნუსხვით. მესამე წიგნში შევა ვენახების გაშენების, მოვლისა და დამუშავების საკითხები. მეოთხე წიგნში განხილული იქნება ვაზის დაავადებები, მავნებლები, ავადმყოფობები და მათთან ბრძოლა. მეხუთე წიგნი დაეთმობა ვენახების დარაიონებას, მევენახეობის მეურნეობის ორგანიზაციას, შრომის ორგანიზაციის საკითხებს და სხვა“.

პირველი წიგნი იმ შინაარსობრივი მოცულობით, როგორც ეს ავტორს ჰქონდა ჩაფიქრებული, 1937 წელს გამოიცა. მეორე წიგნი — ამპელოგრაფია — 1939 წ. დანარჩენი ტომების გამოცემა ავტორს აღარ დასცალდა.

პროფ. ვ. ქანთარია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მეორე ტომს, მასში გაშუქებულია ორი საკითხი — ამპელოგრაფია წარსულში, ჯიში და მისი მნიშვნელობა.

შრომის დასაწყისი მოიცავს ამპელოგრაფიის განვითარების მოკლე ისტორიულ მიმოხილვას. მეორე ნაწილში ამპელოგრაფია გაშუქებულია ფართო ასპექტით და რაც მთავარია ხაზგასმულია გარემო ფაქტორების გავლენა ჯიშზე. „სოლომონ ჩოლოყაშვილი დიდ მოთხოვნას უყენებდა ჯიშს, იყო მკაცრი მომთხოვნე ხარისხის მიმართ და, ამასთანავე, მისი კარგი გამგებიც“.

აკად. ს. ჩოლოყაშვილმა ი. რცხილაძის თანაავტორობით გამოსცა „საქართველოს მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. შრომას ახლავს ცალკეული რაიონების დაახსიათება ჯიშთა გაადგილებითა და რუკით.

სოლომონ ჩოლოყაშვილი ძალიან წუხდა, რომ „მევენახეობის ლიტერატურის“ საგრძნობი ნაკლებობა იყო საქართველოში. „ამ ნაკლის შესავსებად განვიზრახეთ სათანადო სახელმძღვანელოს შედგენა“, — ამბობდა და, მართლაც, მალე ის აქვეყნებს „მევენახეობის სახელმძღვანელოს“ და „თანამედროვე მევენახეობას“ (სახელმძღვანელოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებისათვის): როგორც წინასიტყვაობიდან ჩანს, მათი შედგენისას ავტორმა გამოიყენა იმ დროის


რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე არსებული სამეცნიერო წყაროები, იმ ფართო სამეცნიერო კვლევის შედეგები, რომელსაც წლების მანძილზე მთელს თავის ცოდნასა და გამოცდილებას ახმარდა თვითონ თავის მოწაფეებსა და თანამშრომლებთან ერთად.

სოლომონ ჩოლოყაშვილი გულისტკივილით მიუთითებდა, რომ თუ 1875 წელს ვენახების საერთო ფართობი საქართველოში 71 000 ჰა აღწევდა, 1935 წლისათვის ეს მაჩვენებელი 37000-მდე ჩამოვიდა, ამიტომ, ბუნებრივია, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ ძვრებს, რაც მისი უშუალო მონაწილეობით, საკითხის დაყენებითა და მეცნიერული დასაბუთებით ხდებოდა 40-იან წლებში. მიღებულ იქნა საბჭოთა მთავრობისა და ხელისუფლების არა ერთი მნიშვნელოვანი დადგენილება მევენახეობის — ამ ეროვნული დარგის ზემდგომი განვითარებისათვის. აკად. ს. ჩოლოყაშვილი აღფრთოვანებული იყო, როცა ხედავდა რა პერსპექტივები ეშლებოდა ჩვენს რესპუბლიკაში მევენახეობას. ამ ფაქტს ასე იგონებს მისი აღზრდილი მ. ჭელიძე — აღტაცებულმა ს. ჩოლოყაშვილმა ერთხელ, ლექციაზე; ასეთი სიტყვებით გამოხატა ეს სიხარული: „მევენახეობის ბედი გადაწყდა — საქართველოში 100 ათასი ჰექტარი საზოგადოებრივი ზვარი გვექნება“. ეს იმ მასშტაბია, რომელიც დღესაც ოპტიმალურად ითვლება ჩვენი რესპუბლიკისათვის. შატონი სოლომონი სავსებით სამართლიანად თვლიდა, რომ ვენახების ფართობების გადიდება და ხარისხის გაუმჯობესება მხოლოდ ნამყენი ვაზის გაშენების საფუძველზე იყო შესაძლებელი. მისი თავდაუზოგავი შრომითა და პრაქტიკული ხელმძღვანელობით სწორედ ნამყენი ნერგით, საქართველოში, გაშენებული იყო 18.700 ჰექტარი, ეს მიმართულება იქნა მიღებული უპირველესად და უკვე 1933 წელს ნაცვლად 1913 წელს არსებული 8.500 ჰექტარისა.

ბატონ სოლომონის რეკომენდაციებითა და ინიციატივით გაშენდა 100-მდე სასაბურე მეურნეობა და ყოველწლიურად იწარმოებოდა 40 მილ. ნამყენი ნერგი. ამ მიმართულებებზე მისმა მოწაფემ პროფ. მ. რამიშვილმა შექმნა ნამყენის წარმოების ქართული, მეცნიერული სკოლა, რომელიც დღესაც ამ სფეროში კვლევისა და მუშაობის საფუძველთა საფუძველია.

ფაქტი იმისა, რომ სოლომონ ჩოლოყაშვილი არ შემოიფარგლებოდა საქართველოს მევენახეობის ინტერესებით, ჩანს შემდეგი მაგალითიდანაც: მას, როგორც დიდი გამოცდილების მეცნიერს, დაევალა მოლდავეთის მევენახეობის დარაიონების შემოწმება და რეკომენდაციების მიცემა. ამ სამუშაოს ბრწყინვალედ შესრულებისათვის იგი საპატიო ნიშნის ორდენით დაჯილდოვდა და მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

2. ს. ჩოლოყაშვილი



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში სასოფლო-სამე-  
ურნეო განყოფილების შექმნასთან დაკავშირებით ს. ჩოლოყაშვილი  
ერთხმად იქნა არჩეული აკადემიის ნამდვილ წევრად.

სიცოცხლის ბოლო წლებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადე-  
მიაში მუშაობის დროს, მისი ხელმძღვანელობით დაწყებული იყო  
მევენახეობა — მეღვინეობის ტერმინოლოგიისა და ბიბლიოგრაფიული  
ცნობარის შედგენა, რაც ბრწყინვალედ შეასრულა ი. ანდრონიკა-  
შვილმა. მან ს. ჩოლოყაშვილს სიცოცხლეშივე გადასცა მევენახეობა-  
მეღვინეობის ტერმინოლოგია, ხოლო მევენახეობა — მეღვინეობის  
ბიბლიოგრაფიული ცნობარი 13000-მდე დასახელებით აკად. ს. ჩოლოყა-  
შვილის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა.

1944 წელს სოლომონ მიხეილის ძე ჩოლოყაშვილი გარდაიცვალა.

„ჩვენ იმ დროისთვის შედარებით ახალგაზრდა სპეციალისტები ვერ  
ვამჩნევდით მის ნაადრევად გარდაცვალებას; ვფიქრობდით, რომ მან  
თითქოს ყველაფერი მოასწრო, მაგრამ სინანულის გრძნობით უნდა  
აღინიშნოს, რომ ბატონი სოლომონი გარდაიცვალა თავისი შემოქმე-  
დებითი მუშაობის აყვავების პერიოდში“ — წერდა პროფესორი  
ვალერიან ქანთარია — ის მეცნიერი, რომელიც წლების მანძილზე,  
თავდაუზოგავ, შემოქმედებით შრომაში, გვერდით ედგა აკად. ს. ჩო-  
ლოყაშვილს; ანლოს იცნობდა მას, როგორც დიდი სულის ადამიანს,  
დიდბუნებოვან პიროვნებას, უთვალსაჩინოეს მეცნიერსა და მკვლე-  
ვარს, შესანიშნავ მეგობარსა და მეოჯახეს. ამიტომაც ასე გულდასმით  
მივყავართ მის ყოველ მოგონებას და ჩანაწერს აკადემიკოს სოლომონ  
ჩოლოყაშვილის გარშემო, როგორც უტყუარ საბუთსა და ნათელ სუ-  
რათს იმ ადამიანებზე, რომელიც თითქოს ქართული ვაზის უკვდავე-  
ბისათვის მოვიდა ამ ქვეყანაზე.

ნოდარ ჩხარტიშვილი

## СОЛОМОН МИХАЙЛОВИЧ ЧОЛОКАШВИЛИ

(Краткий обзор научной и общественной деятельности)

В сокровищнице материальной культуры грузинского народа виноградарство всегда занимало и занимает видное место.

Во все времена, предметом трепетного отношения и большой заботы каждого грузина была взлелеянная на грузинской земле, виноградная лоза. Поэтому и понятна та дань глубокого уважения грузинского народа к посвятившим свою жизнь виноградарству соотечественникам, которые могли смело сказать: «Все, что я делал — Я делал из любви к моей земле, к моему народу».

Эти слова можно полностью соотнести к деятельности заслуженного деятеля науки Грузинской ССР, академика Соломона Михайловича Чолокашвили, с именем которого связаны наиболее значительные периоды развития виноградарства не только в Грузии, но и во всей нашей стране.

Соломон Михайлович Чолокашвили родился 1 июня 1883 года в с. Бакурцихе Гурджаанского района, в семье служащего.

Первоначальное образование маленький Соломон получил от своей матери, Екатерины Вачнадзе, довольно образованной по тем временам женщины. Будучи физически слабым ребенком, он постоянно находился по неусыпанному вниманию своей матери. И, как вспоминает Соломон Михайлович, она вела специальный дневник, куда заносили все методы, которыми пользовалась в уходе за ним. Позже, работая в Университете, проф. С. Чолокашвили, по словам В. Кантария, передал эти интересные с точки зрения педагогики и медицины дневники специалистам.

Отец — Михаил Чолокашвили, по специальности юрист, был глубоко образованным человеком и большим ценителем виноградарства, как отрасли.

После получения начального образования родители определили его в Тбилисскую гимназию с пансионом. Однако, царившие

там административные условия оказались невыносимыми для и без того слабого здоровьем мальчика. К этому добавилось и то, что там он заболел ветрянкой и ослеп на один глаз. После этого родители повезли его в Ялту и определили в Никитское училище садоводства-виноградарства. Этот выбор не был случайным. Ребенок, родившийся и выросший в красивойшей деревне, впитал всю прелесть окружающей его природы и мира растений. Мать замечала его тяготение к миру прекрасного и, как вспоминает Соломон Михайлович, не находя его играющим среди сверстников, искала в саду, или в винограднике.

В Никитском училище садоводства-виноградарства С. Чолокашвили проучился четыре года. Но хорошо начатая учеба закончилась довольно плохо. Перед выпускными экзаменами он был исключен из-за участия в забастовках и это лишило его возможности продолжать учебу в России. Но хорошее знание немецкого языка позволило С. Чолокашвили поступить в Клостенбургскую (Вена) высшую школу виноградарства-плодоводства и декоративного садоводства, которую он успешно закончил в 1907 году и за отличную успеваемость был награжден большой золотой медалью. С целью стажировки он был оставлен в лаборатории энохимии и микробиологии научно-исследовательского института названной высшей школы. Руководителями его научной деятельности были проф. Зейберт и Райш, а практические работы он проводил в Катусском образцовом хозяйстве.

Получив европейское образование и глубокие знания в области сельского хозяйства, 25-летний специалист в 1908 году возвращается на родину.

«Небезинтересно вспомнить, — писал проф. В. Кантария, — период, когда формировались его характер, взгляды на жизнь и общество. Здесь имеется в виду время, когда Царская Россия максимально ограничивала возможности получения сельскохозяйственного образования в Грузии. Насаждая бесправное существование населения страны, пересекала попытки проведения в жизнь самостоятельных инициатив хозяйственно-экономического характера. Но, несмотря на такие условия и традиции того круга (дворянства), в котором он вырос, С. Чолокашвили считал для себя приятной обязанностью служить своему народу. Он отличался добросовестным отношением к делу и принципиальностью, был настоящим патриотом своей страны

и интернационалистом. Он пользовался заслуженным авторитетом не только среди грузин, но и среди русских, украинцев, армян, азербайджанцев и специалистов других национальностей.

Сразу же после приезда на Родину перед ним раскрылось широкое поле деятельности. Было много заманчивых предложений, но Соломон Михайлович отказался от них, в частности, от работы в Цинандальском и Мукузанском хозяйствах. И, поскольку его больше влекла общественная деятельность, он остановил свой выбор на земледельческом департаменте, получив назначение управляющего в Одзисском поместье.

В этом хозяйстве были представлены виноградарство, плодоводство, питомник и др. Как отмечает проф. В. Кантария, в принятии такого решения сыграло большую роль глубокое уважение к Захарию Эристави — владельцу этого поместья, которое он еще при жизни передал в дар своему народу. С. Чолокашвили счел поступок З. Эристави благородным делом служения народу и, чтобы продолжить его, возглавил работу в этом поместье.

В 1910 г. Соломон Чолокашвили открыл плодоводческую школу-интернат, которым руководил до 1918 г., будучи преподавателем специальных предметов в старших классах.

Это был период, когда виноградарство в Грузии было на грани полного уничтожения, вследствие массового распространения филлоксеры. Именно в это время был создан Кавказский комитет борьбы с филлоксерой, в работе которой активное участие принимает Соломон Михайлович. По его инициативе и под его руководством было создано виноградарское питомническое хозяйство в с. Агаиани Каспского р-на.

Для молодого ученого важным вопросом в деле защиты виноградников от филлоксеры было распространение привитых саженцев винограда. Преданность и любовь к делу принести желаемые плоды, и виноградники, находящиеся почти на грани уничтожения, стали на путь возрождения.

Первые научные труды С. Чолокашвили связаны именно с этим периодом. Из них особо следует отметить труд «Филлоксеры и борьба с ней» (1912 г.), изданный отдельной брошюрой. Надо сказать, что в тот период научные труды по вопросам виноградарства на грузинском языке встречались довольно ред-

ко и поэтому «Филлоксера и борьба с ней» сразу стала настоящей книгой для специалистов. Глубокий анализ, сделанный на основе научных наблюдений того периода, позволил С. Чолокашвили осветить такие вопросы, как биозология злейшего врага корней виноградной лозы — филлоксеры, ограничения его ареала и радикальных мер борьбы против нее. При этом автор большое значение придает прививке виноградной лозы на филлоксероустойчивые подвои американского происхождения и неукоснительному использованию рекомендуемых агротехнических мероприятий, которые и в настоящее время не потеряли своей актуальности. В борьбе с филлоксерой, по мнению С. Чолокашвили, необходимо создание технической базы для производства прививок, закладка подвойных и привойных маточников, устройство парниковых хозяйств, совершенствование технологии прививки. Несколько позже, в 1937 году Соломон Михайлович писал, что в настоящее время в этой связи положение значительно лучше, чем несколько лет назад. Но несмотря на это, для окончательного исправления создавшегося положения, вызванного распространением филлоксеры, необходимо строго придерживаться агротехнических мероприятий.

В 1918 г. в связи с закрытием школы-интерната садоводства в поместье Одзиси, Соломон Чолокашвили был переведен в Тбилиси помощником уполномоченного Караязского управления, в ведение которого входили опытное поле, оросительная сеть, пашни и др. В 1919 году С. Чолокашвили был приглашен руководителем виноградарских курсов на высших сельскохозяйственных курсах, где он проработал до их ликвидации в 1923 г.

В 1920 г. в Тбилисском Государственном университете и аграрном факультете Политехнического института был введен обязательный курс по виноградарству. На ученых советах упомянутых высших курсов С. Чолокашвили был избран лектором виноградарского курса. Именно, с этого времени закладывались основы для выхода будущего большого ученого на широкое поле деятельности в высших школах. В этом-же году Соломон Чолокашвили на агрономическом факультете Государственного университета создает кафедру виноградарства, бессменным руководителем которой он был до конца жизни.



С 1921 года мы видим С. Чолокашвили на различных должностях: старшим специалистом народного комиссариата земледелия Грузии, заведующим отделом виноградарства и виноделия этого же комиссариата. В 1923 году Соломон Михайлович на Всесоюзной сельскохозяйственной выставке организовал раздел виноградарства и виноделия Грузии. Был консультантом в комиссариате земледелия Грузии; работал в Государственной плановой комиссии Грузии и Закавказья, инспектором виноградарства Закавказья.

